საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

ყინვებისაგან დაზიანებული ხეხილის მოვლა

(რეკომენდაცია)

~

თბილისი
2020

UDC უდკ 634 : 632.111
ვ-224

რეკომენდაცია განკუთვნილია ფერმერებისა და ხეხილოვანი კულტურების მოყვარულთათვის.

ავტორი:

იუზა ვასაძე – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი:

ნადეჟნა მიროტაძე – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა "აგრო".

ISBN 978-9941- 8-2635-1

ყინვებისაგან დაზიანებული ხეხილის მოვლა

ყინვებისაგან დაზიანებული ხეხილის მოვლის ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აუცილებლია დადგენილ იქნეს ხეხილის დაზიანების ხარისხი, რის შემდეგ უნდა განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებანი შემდეგი თანმიმდევრობით:

ახალგაზრდა მსხმოიარე ბაღებში:

2-4 წლის ასაკის ახალგაზრდა ხეები, რომლებსაც საზრდელი და სანაყოფე კვირტები სუსტად აქვთ დაზიანებული, საჭიროა გაისხლას ჩვეულებრივად:

ხეხილს, რომელსაც დაზიანებული აქვს ტოტის წვეროები, ხოლო მისი ჩონჩხის ტოტების მერქანი ჯანსაღია, უნდა მოსცილდეს მოყინული ნაწილი, დარჩენილი ტოტები უნდა გადავიყვანოთ გვერდით განტოტვაზე.

ხეებს, რომელთაც ძლიერ არა აქვთ დაზიანებული ქერქი და საზრდელი კვირტები, შეიძლება აღვუდგინოთ შტამბი – რამდენიმე წლის განმავლობაში ძველი ჩონჩხის შენარჩუნებით. ასეთ ხეებს პირველი 2-3 წლის განმავლობაში ახასიათებს წვეროს კვირტების სუსტი ზრდა, ხოლო ჩონჩხის ტოტების ფუძესთან უვითარდება შოლტა ტოტები. შოლტის ტოტები ვარჯიდან არ უნდა ამოიჭრას, პინცირებისა და სხვლის საშუალებით უნდა შევზღუდოთ მათი ზრდა.

ძლიერ დაზიანებული ხეები (გაშავებული მერქნით) უნდა გაისხლას საღ მერქანზე. ამისათვის ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ვარჯის მნიშვნელოვანი ნაწილის მოცილება, იშვიათად კი შტამბზე გადაჭრა. ასეთი სახის გასხვლის შემდეგ თუ ჩონჩხის ტოტები ფუძის ნაწილებთან განვითარდა, ისინი უნდა გამოვიყენოთ ახალი ჩონჩხის ტოტების ჩამოსაყალიბებლად, ხოლო თუ საზრდელი ტოტები განვითარდა, მაშინ მათგან ყველაზე ძლიერი ტოტი ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ, დანარჩენებს კი ჩავუტაროთ პინცირება ახალი ვარჯის ჩამოსაყალიბებლად.

მსხმოიარე ბაღებში:

სუსტად და საშუალოდ დაზიანებული ხეები საჭიროა გაისხლას 2-3 წლიან მერქანზე, გვერდით განტოტვაზე, ხოლო ერთწლიანი ტოტები, რომლებსაც ვტოვებთ, უნდა დამოკლდეს ზომიერად ან ძლიერად.

ძლიერ დაზიანებული ხეები საჭიროა გაისხლას 5-6 წლიან მერქანზე გვერდითი განტოტვის დატოვებით, რისთვისაც გასხვლა უნდა ჩატარდეს გაზაფხულის ბოლოს, როდესაც ნათლად გამოჩნდება ძლიერი დაზინების ზონა. ამ შემთხვევაში ხეები უნდა გაისხლას ძლიერი საზრდელი ტოტების განვითარების ადგილას, ზემოთ მდებარე ნაწილების მოცილებით, თუნდაც ვარჯის აღდგენისა და ტოტების ჩამოხლეჩისაგან დასაცავად დაზიანების შემდეგ პირველ 2-3 წელს უნდა ვაწარმოოთ მსხმოიარობის რეგულირება სანაყოფე კვირტების დანორმების საშუალებით. ვარჯის ჩამხშირავი ტოტების გამოხშირვა და შემმოსავი ტორების დამოკლება დაზიანების წელს არ უნდა ტარდებოდეს. ამით უმჯობესდება ხეების შეფოთვლა, ძლიერ დაზინებულ ხეებზე დიდი ტოტების მოჭრისას უნდა დავტოვოთ ნეკი, რომელიც შემდეგ წელს ამოიჭრება რგოლზე. მოყინული ხეების გასხვლისას უნდა ვეცადოთ, რომ ხეებს არ მივაყენოთ დიდი ჭრილობები. დაზიანებული ხეხილის გასხვლისთანავე ჭრილობებზე, რომელთა დიამეტრი ერთ სანტიმეტრს აღემატება, აუცილებლად უნდა წაესვას ბაღის მალამო. მოყინული ქსოვილების გადახურებისა და შტამბის დამწრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადრე გაზაფხულზე ჩატარდეს შტამბისა და დედატოტების შეთეთრება თიხანარევი კირწყლით. მოყინულ ხეებზე დროულად უნდა ჩატარდეს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავიცვათ დაზიანებისაგან მწვანე ყლორტები და თავიდან ავიცილოთ კიბოს, ქერქისა და მექნის მავნებლების გავრცელება.

ხეხილის გაზაფხულის წაყინვების დასაცავად საჭიროა განისაზღვროს წაყინვების მოსალოდნელი პერიოდი და ამასთანავე შეირჩეს ისეთი მიკრო ადგილები, სადაც ხეხილი გვიან იწყებს ყვავილობას, როგორიც არის მთისწინები და გვიან მოყვავილე ჯიშები. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია გარგარის კულტურა. გარგარი მწიფდება და მოსახლეობას მაშინ მიეწოდება, როდესაც ხილის ნაკლებობაა.

გარგარის ბიოლოგიური თავისებურების გამო მისი გავრცელების არეალი საქართველოში შეზღუდულია. გარგარის დაბალი მოსავლიანობა და ხშირად მოუსავლიანობა გამოწვეულია სოკოვანი დაავადებებით და ტემპერატურის რყევადობით-ყვავილობის პერიოდში. შემდეგი მომენტი არის გარგარის ჯიშების ნაყოფის სიმწიფის მოკლე პერიოდი. ჯიშების შერჩევით შეიძლება ყვავილობის გვიან დაწყება და სიმწიფის პერიოდის ორი-სამი კვირით გახანგრძლივება. საქართველოში ჯანსაღი ხეები და გარგარის რეგულარული მოსავალი შედარებით შენარჩუნებულია აღმოსავლეთით, მთისპირა ადგილებში. რადგან ტემპერატურის მკვეთრი მერყეობისაგან დაცულია, სადაც გაზაფხულის წაყინვები იშვიათია და ზამთარი თბილი იცის. არ ხდება ცივი დინებების შემოჭრა. თავად გარგარის ხე ყინვა ამტანია, დაუზიანებლად უძლებს – 32°C ყინვას. გაზაფხულზე ტემპერატურის მერყეობა იწვევს ვეგეტაციის ადრე დაწყებას, რასაც საყვავილე კვირტების დაბერვა მოსდევს, რის გამოც მისი ყინვაგამძლეობა მცირდება. წაყინვების მცირე ტემპერატურაც კი 1-2°C საგრძნობლად აზიანებს და ხე უნაყოფო რჩება.

გარგარის მოუსავლიანობა გამოწვეულია ყვავილობის პერიოდში ხშირი წვიმითაც, რომელიც აფერხებს დამტვერიანებას და ვითარდება სოკოვანი დაავადებები. ამიტომ დასავლეთ საქართველოში თითქმის არ მისდევენ გარგარის გაშენებას.

გარგარის ყოველწლიურად მოსავლის მისაღებად საჭიროა გამოყენებული იქნას ისეთ პრეპარეტები, რომელიც გაადიდებს კვირტის და ყვავილების გამძლეობას. საჭიროა სელექციური მუშაობა – ჯიშების, საძირეების შერჩევა.